სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
08.01.2016 N 2
თბილისი

სტუ-ს აკადემიური საბჭოს მორიგი
არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდებისა და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მორიგი არჩევნები დაინიშნოს 2016 წლის 28 იანვარს;
2. არჩევნები ჩატარდეს აკადემიური საბჭოს შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე ფაკულტეტების მიხედვით:
   - სამშენებლო ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;
   - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;
   - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;
   - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;
   - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;
   - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;
   - ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;
   - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;
   - აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი.
3. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც შესაბამის ფაკულტეტზე უკავია პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობა და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ მოთხოვნებს. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელსაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობა.
4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2016 წლის 15 იანვარს და დასრულდეს 2016 წლის 21 იანვარს.

5. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.

5. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოებმა 2016 წლის 15 იანვრამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიის შექმნა (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში) და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

6. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა ფაკულტეტის საარჩევნო კომისიისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

7. არჩევნები ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტზე, არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

8. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

9. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზა:

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი: *გ.მაისურაძე*